ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 132323510**
თარიღი:**23/08/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ' ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება განსაზღვრული დანართი 1-ის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, გადასცეს სს „ ოპპა"-ს (ს/ნ 248429598). საფუძველი-ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი N 15-ში რეგისტრირებული სს „ ოპპა"-ს (ს/ნ 248429598) 2023 წლის 03 აგვისტოს N138 მომართვა.

2. სს „ოპპა"-მ (ს/ნ 248429598) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს სწრაფი გადახდის თვითმომსახურების ტერმინალების განსათავსებლად.

3. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი"-ს 2023 წლის 11 აგვისტოს № 365 აუდიტორული დასკვნა), ყოველ კვადრატულ მეტრზე 50,00 (ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

	საკადასტრო კოდი	ტერმინალების რაოდენობა	ფართი (კვ.მ.)	დაინტერესებული პირი
1	62.09.53.035	1 ტერმინალი	1.00	სს "ოპპა"
2	62.09.58.891	10 ტერმინალი	10.00	სს "ოპპა"
3	62.09.58.141	1 ტერმინალი	1.00	სს "ოპპა"
4	62.09.54.980	3 ტერმინალი	3.00	სს "ოპპა"
5	62.09.60.130	2 ტერმინალი	2.00	სს "ოპპა"
6	62.09.62.583	2 ტერმინალი	2.00	სს "ოპპა"
7	62.09.54.161	1 ტერმინალი	1.00	სს "ოპპა"
8	62.09.54.028	2 ტერმინალი	2.00	სს "ოპპა"